KA990127001019716

№3267/07

28 / სექტემბერი / **2016** წ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ გიორგი გურასპაშვილს
ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის სერგო ლალიაშვილის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო გიორგი,

წარმოგიდგენთ ხაშურის მუნიციპალიტეტსა და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს შორის გაფორმებული 22.09.2016 წლის № 179 ხელშეკრულების შესაბამისად შედგენილ დასკვნას და მიღება ჩაბარების აქტს, გთხოვთ, აღნიშნული დოკუმენტაცია შემდგომი რეაგირებისათვის გადაუგზავნოთ საბიუჯეტო სამსახურს.

პატივისცემით,

სამსახურის უფროსი სერგო ლალიაშვილი

ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5004597316

29/08/2016 წ.

5004597316

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის
შემსრულებელს ბატონ ზურაბ ჩხიტუნიძეს

ბატონო ზურაბ,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი N07/4271 მომართვის (ბიუროს 2016 წლის 6 ივლისის რეგისტრაციის N1005187816) საფუძველზე, გიგზავნით სასაქონლო ექსპერტიზის N004944816 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 07 ფურცლად;

პატივისცემით,

გიორგი თვაური
ბიუროს უფროსი

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. N84
ქუთაისი 4600, მესხის ქ. N5
ბათუმი . პ. მელიქიშვილის ქ. N102
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162
5 Meskhi str., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili str., Batumi
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

WWW.EXPERTIZA.GOV.GE

004944816

ექსპერტის დასკვნა № 004944816

გაფრთხილება

დეპარტამენტების უფროსების მიერ განგვემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებულები ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: სასაქონლო ექსპერტიზა

დამნიშნავი :

სტრუქტურა: ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა

ქვესტრუქტურა:

თანამდებობა: გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი

მისამართი:

სახელი და გვარი: ზურაბ ჩხიტუნიძე

საფუძველი: მომართვა

შემსრულებელი ექსპერტები :

გიორგი ქურდაძე / სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტის სასაქონლო ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 10 წლის სტაჟით.საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის აკრედიტაციის NGEO-268-20432279 ISO/IEC 17024 შესაბამისობის სერტიფიკატი P-0040 და A-0032

ნიკა დარახველიძე / სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტის სასაქონლო ექსპერტიზის სამმართველოს სპეციალისტი, სპეციალობით მუშაობის 2 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა გეგმავს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 69.08.58.236 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პროვატიზებას. ობიექტის საპრივატიზებო ღირებულების დადგენის მიზნით, გთხოვთ მოავლინოთ ექსპერტი.

შემოსვლის თარიღი: 06.07.2016წ. გასვლის თარიღი: 19.08.2016წ

დასკვნა

ქალაქ ხაშურში, თამარ მეფის ქ. N9-ში ექსპერტიზაზე წარმოდგენილი 3766 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ N69.08.58.236) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების საბაზრო ღირებულება 2016 წლის აგვისტოს თვის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 89860 ლარს.

გიორგი ქურდაძე

გამოკვლევა

ექსპერტის მიერ გამოკვლეულ და შესწავლილ იქნა ქ. ხაშურში, თამარ მეფის ქ. N9-ში მდებარე, ექსპერტიზაზე წარმოდგენილი მიწის ნაკვეთი და მასზე განათავსებული შენობა-ნაგებობები, რომლის დათვალიერების შედეგად დადგინდა: მიწის ნაკვეთს შესასვლელი გააჩნია თამარ მეფის ქუჩიდან, ნაწილობრივ შემოღობილია, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები წარმოადგენს ხანგრძლივად ექსპლუატაციაში ნამყოფ ნაგებობებს. ამონაწერში არაა დაფიქსირებული შენობა-ნაგებობების ფართობი, ექსპერტის მიერ შენობის ფართობები გაიზომა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური რუკის მიხედვით.

იურიდიული მონაცემები:

განაცხადის რეგისტრაცია - №882016189779; მომზადების თარიღი – 29/03/2016; საკადასტრო კოდი – N69.08.58.236; მისამართი – ქ. ხაშურში, ქუჩა თამარ მეფე N9; საკუთრების ტიპი - საკუთრება; ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო-სამეურნეო; დაზუსტებული ფართობი – 3766 კვ.მ; შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1, N2; მესაკუთრე - სსიპ თვითმმართველი თემი ხაშურის მუნიციპალიტეტი.

შეფასების მეთოდოლოგია

საბაზრო ღირებულების დეფინიცია

"საბაზრო ღირებულება წარმოადგენს გამოთვლად ფულად სიდიდეს, რომლითაც გაიცვლება ქონება შეფასების თარიღისათვის დაინტერესებულ მყიდველსა და დაინტერესებულ გამყიდველს შორის "გაშლილი მკლავის" პრინციპით ტრანზაქციისას, მართებული მარკეტინგის ჩატარების შემდეგ, როდესაც თითოეული მხარე მოქმედებს გათვითცნობიერებულად, წინდახედულად და ძალდატანების გარეშე" (IVS –1, პარა. 3.1.).

უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება მიღებულია აღნიშნული პერიოდისათვის მომსახურების ბაზარზე იდენტური (ხოლო მისი არ არსებობის შემთხვევაში მსგავსი) ქონების მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთზემოქმედების შედეგად დადებული გარიგების საფუძველზე. უძრავი ქონების ბაზრად ითვლება მიმოქცევის სფერო, რომელიც განისაზღვრება გამყიდველის/მყიდველის შესაძლებლობებით, მნიშვნელოვანი დანახარჯის გარეშე გაყიდოს/შეიძინოს ქონება გამყიდველისთვის/მყიდველისათვის უახლოეს ტერიტორიაზე საქართველოში.

შეფასების გამოყენებული მეთოდი

ამ შეფასების მიზნებისათვის შემფასებლების მიერ გამოყენებულ იქნა მხოლოდ გაყიდვების შედარების მიხედვით მიდგომა.

შეზღუდვები და დაშვებები

შეფასების პროცესს თან ახლდა შემდეგი სახის შემზღუდავი პირობები და ამ პირობებიდან შემფასებლის მიერ გაკეთებულ/მიღებულ იქნა შემდეგი სახის დაშვებები:

1. მოცემული დასკვნა მოიცავს შემფასებლების პროფესიონალურ აზრს. მათ მიერ დადგენილ ღირებულების მაჩვენებელთან მიმართებაში /ობიექტის სავარაუდო გასაყიდი ფასი/ და არ შეიძლება ჩაითვალოს გარანტიად იმისა, რომ შეფასებული ქონება ხელიდან ხელში გასხვისებული იქნება ზუსტად შეფასებული ღირებულების მიხედვით;
2. შეფასების ჩატარების დროს იგულისხმებოდა, რომ არ არსებობდა რაიმე ფარული ფაქტორები, რომლებიც გავლენას იქონიებდნენ შესაფასებელი ქონების ღირებულების განსაზღვრაზე. შემფასებელს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ასეთი ფაქტორების აღმოჩენაზე;
3. ღირებულების საბოლოო მაჩვენებელი წარმოადგენს მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად მიღებულ შედეგს და არ წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ ბაზარზე შეიძლება არ არსებობდეს სხვა შეთავაზებები ან გარიგების ფაქტები, რომლებიც განსხვავდებიან თანხობრივი მაჩვენებლებით;
4. შემფასებლის მიერ მიღებული ღირებულების საბოლოო მაჩვენებელი მოქმედია მხოლოდ შეფასების თარიღისათვის. შემფასებელი არ იღებს არანაირ პასუხისმგებლობას ეკონომიკური, იურიდიული, ბუნებრივი და სხვა ფაქტორების ცვლილებებზე, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ამ თარიღის შემდეგ და გავლენა იქონიოს საბაზრო სიტუაციაზე და შესაბამისად შესაფასებელი ობიექტის ღირებულებაზე;
5. ანალოგებზე მონაცემები მოპოვებულია საჯარო რეეტრის ელექტრონული ბაზის, საგაზეთო გამოცემების, ინტერნეტის და "რიელტური" ფირმების მეშვეობით, რომელთა ინფორმაციასაც გააჩნია ყველაზე მაღალი ნდობის ფაქტორი.

გაყიდვების შედარების მიხედვით მიდგომა

გაყიდვების შედარებაზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებისას, შემფასებელმა განახორციელა ქმედებების შემდეგი თანმიმდევრობა:

- გამოიკვლია ბაზარი (მოახდინა ბაზრის იმ მონაცემების მოპოვება და ანალიზი, რომლებიც საშუალებას იძლეოდნენ დადგენილიყო ანალოგიური უძრავი ქონების ობიექტები);
- დაადგინა ინფორმაციის სისწორე;
- შეარჩია შედარების ის ელემენტები, რომელთა მეშვეობითაც განხორციელდა შესაფასებელი ქონების ობიექტის შედარება ანალოგებთან;
- შეადარა გაყიდვადი ქონების ობიექტები განსახილველ ქონებას, შედარების ელემენტების გამოყენებით;
- დაკორექტირა ყველა ანალოგიური დადგენილი შედარების ელემენტის ფასები შესაფასებელი უძრავი ქონების ელემენტებთან მიმართებაში;
- დაადგინა შესაფასებელი უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება ანალოგებთან დაკორექტირებული ფასების შეჯერების გზით.

შედარების ელემენტები

შედარების ელემენტები განსაზღვრავენ ქონების ობიექტების და გარიგებების სპეციფიურ მახასიათებლებს, რომლებიც ხსნიან ფასების ვარიაციებს. ბაზრის ანალიზი ავლენს, რომელი ელემენტებია განსაკუთრებით მგრძნობიარე.

გაყიდვების შესადარისი მონაცემების ანალიზისას ძირითადად ითვლება შემდეგი შედარების ელემენტები:

- *უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებების გადაცემა...*
- *ფინანსირების პირობები ....*
- *გაყიდვის პირობები ....*
- *დანახარჯები, რომელიც გასაწევია უშუალოდ ყიდვის შემდეგ ...*
- *ბაზრის პირობები ...*
- *ადგილმდებარეობა ....*
- *ფიზიკური მახასიათებლები ...*
- *ეკონომიკური მახასიათებლები ...*
- *გამოყენება ...*
- *გაყიდვის არა-უძრავი კომპონენტები...”*

ჩატარებული კვლევების შედეგად მიღებული შედეგების შეჯერებით და გასაშუალებით განისაზღვრა ქალაქ ხაშურში, თამარ მეფის ქ. N9-ში ექსპერტიზაზე წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის (ს/კ N69.08.58.236) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების საბაზრო ღირებულება 2016 წლის აგვისტოს თვის მდგომარეობით, რაც საორიენტაციოდ შეადგენს 89860 ლარს (იხ. დანართი N1).

გიორგი ქურდაძე

ნიკა დარახველიძე

004944816

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: დავით ამაშუკელი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: გიორგი ჩადუნელი

004944816

ფოტოილუსტრაცია

ფოტო 1



ფოტო 2

ფოტო 3

ფოტო 4

ფოტო 5

ფოტო 6

დანართი N1

	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	1 კვ.მ-ის საბაზრო ღირებულება (ლარი)	მთლიანი საბაზრო ღირებულება (ლარი)
1	მიწის ნაკვეთი (ს/კ 69.08.58.236)	კვ.მ	3766	20	75320
2	შენობა-ნაგებობა N1	კვ.მ	482	10	4820
3	შენობა-ნაგებობა N2	კვ.მ	486	20	9720
4	ჯამი				89860

შესაფასებელი ობიექტის ადგილმდებარეობა რუკაზე

3005037716

მიღება-ჩაბარების აქტი № 3005037716

რეგიონი	თბილისი	**დასრულების თარიღი**	29/08/2016

დოკუმენტი:

რეგისტრაციის ნომერი:	1005187816	**მომსახურების ტიპი:**	ჩვეულებრივი
რეგისტრაციის თარიღი:	06/07/2016	**საქმის ნომერი:**	
ხელშეკრულების ნომერი:		**ხელშეკრულების თარიღი:**	
შეთანხმების ნომერი:		**შეთანხმების თარიღი:**	
დასკვნის ნომერი:	004944816		

ექსპერტიზის დამკვეთი :

სახელი და გვარი:	ზურაბ ჩხიტუნიძე
პირადი ნომერი:	
სტრუქტურა:	ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა
ქვესტრუქტურა:	
დასახელება:	
საიდენტიფიკაციო კოდი:	
თანამდებობა:	გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი
დოკუმენტის შემომტანი:	ვასიკო ულუმბელაშვილი

შესრულებული კვლევის კოდი (საქ.მთავრობის 08.05.2012 N171. დადგენილების მიხედვით)	**ობიექტების რაოდენობა**	**საექსპერტო მომსახურების ტარიფი კვლევის ერთეულზე (დ.ღ.გ.-ს ჩათვლით)**	**თანხა**
250. - უძრავი ქონების (ბინის, კერძო სახლთმფლობელობის, სამრეწველო ფართობის, კომერციული და საოფისე ფართობის, არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის) საბაზრო ღირებულების განსაზღვრა	3	200	600
			ჯამი: 600.00
			საბოლოო ფასი: 600.00

შემსრულებელი ექსპერტ(ებ)ი (სპეციალისტი):

გიორგი ქურდაძე		ნიკა დარახველიძე	
სასაქონლო ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი		სასაქონლო ექსპერტიზის სამმართველოს სპეციალისტი	

სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი / პასუხისმგებელი პირი	**მიმღები პირი**
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)
	გაცემის თარიღი 23/09/2016

საჭიროა ანგარიშ-ფაქტურა

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 179
(საექსპერტო მომსახურების შესახებ)

თბილისი 22 სექტემბერი 2016 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ერთის მხრივ, სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო (შემდგომში - მიმწოდებელი) ბიუროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) საქმისწარმოების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის რუსუდან ლაზაშვილის სახით (ბიუროს უფროსის 18.03.2016 წლის 51 §1 ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში) და მეორეს მხრივ, ხაშურის მუნიციპალიტეტი (შემდგომში-შემსყიდველი) წარმოდგენილი გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის ზურაბ ჩხიტუნიძის სახით (პ/ნ 57001033375) სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 2. ხელშეკრულების რეგულირების სამართლებრივი საფუძველი

მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობები ძირითადად რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 629-ე – 633-ე, 636-ე – 638-ე, 642-ე – 645-ე, 647-ე – 649-ე მუხლებით; "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 08 მაისის №171 დადგენილებით დამტკიცებული ტარიფებით; „სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების სახეობების და საექსპერტო მომსახურების ვადის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ ბიუროს უფროსის 2013 წლის 30 აპრილის №81§2 ბრძანებით; აგრეთვე ამ ხელშეკრულებით.

მუხლი 3. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, „სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №255 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით განსაზღვრული სასაქონლო საექსპერტო მომსახურების გაწევა, ექსპერტის დასკვნის ან აქტის დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ გაცემა. **ქალაქ ხაშურში, თამარ მეფის ქ. N9-ში ექსპერტიზაზე წარმოდგენილი 3766 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ N69.08.58.236) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების საბაზრო ღირებულების დადგენა (CPV კოდი: 79200000; 79212000).**

მუხლი 4. საექსპერტო მომსახურების ვადა

1. მიმწოდებელი საექსპერტო კვლევას/გამოკვლევას იწყებს შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის საჭირო მასალის/ობიექტის წარმოდგენის დღიდან. დასკვნა/აქტი დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ გაიცემა 30 სამუშაო დღის ვადაში.
2. იმ შემთხვევაში, თუ საექსპერტო მოსახურება ითვალისწინებს ბიუროს ტერიტორიის გარეთ არსებული საკვლევი ობიექტის დათვალიერებას/კვლევას და ნიმუშის აღებას, საექსპერტო მომსახურების ვადის ათვლა იწყება შემსყიდველის მომართვის დღიდან 30 სამუშაო დღის ვადაში.
3. საექსპერტო კვლევის სირთულიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, საექსპერტო მომსახურების აუცილებელი გონივრული ვადა ვრცელდება საქართველოს მთავრობის 2012 წლის 08 მაისის №171

შესაბამისი ოქმის შედგენით); ელექტრონული ფოსტით ან ფაქსით (ტექნიკური საშუალებით მოწოდებული დადასტურებით ან შესაბამისი ოქმის შედგენით.
ზ) თუ საექსპერტო მომსახურება ითვალისწინებს ბიუროს ტერიტორიის გარეთ არსებული გამოსაკვლევი ობიექტის დათვალიერებას/კვლევას/ნიმუშის აღებას, მიმწოდებელი ვალდებულია კვლევის დაწყებიდან გონივრულ ვადაში შეუთანხმოს შემსყიდველს ობიექტის დათვალიერების/კვლევის/ნიმუშის აღების თარიღი და დრო.
თ) ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში საექსპერტო მომსახურების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, ბიუროს უფროსის ბრძანების საფუძველზე გააგრძელოს საექსპერტო მომსახურების ვადა.
ი) შესაბამისი დეპარტამენტის ხელმძღვანელი ვალდებულია ამ მუხლის „თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადის გაგრძელების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს დამკვეთს: წერილობითი ფორმით; ტელეფონით (სატელეფონო საუბარი დადასტურებულ უნდა იქნეს შესაბამისი ოქმის შედგენით); ელექტრონული ფოსტით ან ფაქსით (ტექნიკური საშუალებით მოწოდებული დადასტურებით ან შესაბამისი ოქმის შედგენით).
კ) დაიცვას გამოკვლევის შესრულების (საექსპერტო კვლევის) საფუძველზე მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

4. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოითხოვოს შემსყიდველისგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ჯეროვანი შესრულება;
ბ) შემსყიდველის მიერ 10 სამუშაო დღეში, საექსპერტო მომსახურებისთვის აუცილებელი ობიექტის/მასალის წარმოუდგენლობის/არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში, შეადგინოს აქტი დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ ან შეწყვიტოს ექსპერტიზის წარმოება.

მუხლი 7. მხარეთა პასუხისმგებლობა
1. მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, აგრეთვე ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, ან საკუთარი ნებით ხელშეკრულებიდან გასვლისას, თუ ამ ქმედებამ მეორე მხარეს მიაყენა მატერიალური ზიანი.
2. თუ შემსყიდველი უარს აცხადებს მიმწოდებლის მიერ ჩატარებული სამუშაოს გაგრძელებაზე ან მომზადებული საექსპერტო დასკვნის მიღებაზე, იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულებული კვლევის საფასურის გადახდისაგან
3. თუ მიმწოდებელი თავისი ბრალით, უხეშად დაარღვევს ხელშეკრულებით განსაზღვრულ კვლევის შესრულების ვადას და ამით შემსყიდველს მიადგება მატერიალური ზიანი, მიმწოდებელი პასუხს აგებს მიყენებული მატერიალური ზიანისათვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.
4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, სამართალდამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, მეორე მხარის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე კონკრეტულად გაწეული მომსახურეობის ღირებულების 0.01%-ის ოდენობით.

მუხლი 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან. ხელშეკრულების მოქმედება ვრცელდება მხარეთა შორის წარმოშობილ ურთიერთობებზე 2016 წლის 06 ივლისიდან ანუ ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის №07/4271 წერილობით მომართვის დროის პერიოდიდან და მოქმედებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

მუხლი 9. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულება ავტომატურად წყდება:
ა) მხარეების მიერ დაკისრებული ვალდებულებების სრულად შესრულებისთანავე;
ბ) შემსყიდველი იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში, თუ მას არ ჰყავს უფლებამონაცვლე.

2. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.
3. მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე ან უარი განაცხადონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე არ ასრულებს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა (ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეცვლა, გაუქმება) შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ წერილობითი ფორმით საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.
2. ხელშეკრულებაში ყოველი ცვლილების შეტანა წარმოადგენს გარიგებას და საჭიროებს წერილობით ფორმას, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები.

3. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 11. დავის გადაწყვეტა

მხარეები ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად მიმართავენ საერთო სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 12. ფორს მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებული ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით.

მუხლი 13. სხვა პირობები

1. ხელშეკრულება შედგენილია ორ პირად და ორივე პირს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

2. შემთხვევები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით მოწესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

3. დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების შემთხვევაში ვადების ათვლა განისაზღვრება „სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების სახეობების და საექსპერტო მომსახურების ვადის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ ბიუროს უფროსის 2013 წლის 30 აპრილის №81§2 ბრძანების შესაბამისად.

4. ხელშეკრულებას დანართის სახით ერთვის ბიუროს უფროსის 2013 წლის 30 აპრილის №81§2 ბრძანება - „სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების სახეობების და საექსპერტო მომსახურების ვადის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ (ბრძანებაში შეტანილი ყოველი ცვლილების შესახებ შემსყიდველს ეცნობება დამატებით).

მხარეთა რეკვიზიტები:

მიმწოდებელი	შემსყიდველი
სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო საბანკო რეკვიზიტები: მიმღები ბანკი : სახელმწიფო ხაზინა მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი:TRESGE22 მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი:707767126 ს/კ: 204852089 საქმისწარმოების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი რუსუდან ლაზაშვილი _____ ბ.ა.	ხაშურის მუნიციპალიტეტი ხაშურის მუნიციპალიტეტი ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. N2 მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22 ა/ა GE24NB0330100200165022; საიდენტიფიკაციო კოდი: N243908848. ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ზურაბ ჩხიტუნიძე _____ ბ.ა.